გია ჯანდიერი

პრაქტიკული პოლიტიკა
დამწყები ამომრჩევლისათვის

ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველო

საქართველოს უნივერსიტეტის
გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

გია ჯანდიერი

პრაქტიკული პოლიტიკა დამწყები ამომრჩევლისათვის

ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველო

NEW ECONOMIC SCHOOL - GEORGIA

WWW.NES-G.ORG

წიგნი მომზადებულია ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის —
თავისუფლებისათვის მხარდაჭერით

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
South Caucasus

ამ წიგნის მიზანია ახალგაზრდა თაობამ ისწავლოს უკეთესი პოლიტიკური არჩევანის გაკეთება, თავისი ხმის უფრო კარგად გამოყენება. ამისათვის მათ ბევრი რამ სჭირდებათ, თუმცა ამ შემთხვევაში ვთავაზობთ სცადონ პრაქტიკულ პოლიტიკაში და იდეოლოგიებში გარკვევა, რაც მათ შესაძლებლობას მისცემთ კარგად დაინახონ პოლიტიკური სცენა, ყოველი პოლიტიკური პარტიის მსოფლმხედველობა, მიზნები და ამ მიზნების მიღწევის გზები.

წიგნის ამოცანაა ახალმა თაობამ — მომავალმა ამომრჩეველმა — გაარკვიოს რამდენად შესაბამისია პოლიტიკური პარტიების დაპირებები პოლიტიკურ აფილაციასთან და ეკონომიკის შესაძლებლობებთან ამ დაპირებების შესასრულებლად; რამდენად ეფექტიანი და გრძელვადიანია ამ დაპირებებით შემოთავაზებული შედეგები და ა. შ.

სარედაქციო საბჭო:
გიორგი ჩხიკვაძე (რედაქტორი),
პაატა შეშელიძე,
გიორგი ჩიქოვანი

სტილისტური რედაქტირება:
თამარ რამიშვილი

ISBN 978-9941-9896-9-8

შინაარსი

1. ისტორია და დღევანდელობა 5

პოლიტიკური პარტიების წარმოშობა, საქმიანობა და ფინანსური უზრუნველყოფა 5

პოლიტიკური პარტიების სამოქმედო სახეები 6

ცნობილი პოლიტიკური ლიდერები 8

2. პოლიტიკური პოლუსები 9

მემარცხენე 9

მემარჯვენე 9

ლიბერალური 9

ეტატისტური (ტოტალიტარული) პარტიები 9

3. პოლიტიკური იდეოლოგიები და პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა 12

რას უჭერენ მხარს და რისი წინააღმდეგი არიან ცალკეული პოლიტიკური პარტიები 12

საჯარო პოლიტიკის დასაბუთება, რომელსაც ხშირად მიმართავენ განსხვავებული პოლიტიკური პარტიები 16

სხვადასხვა ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 22

4. ძირითადი საარჩევნო სისტემები 24

საარჩევნო სისტემები 24

არჩევნები და საარჩევნო პროგრამები 28

საჯარო (კოლექტიური) არჩევანი 29

პოლიტიკური სისტემები 31

5. საქართველოს გამოცდილება 32

6. დაპირებების გაზომვა. 39
პოლიტიკური გადაწყვეტილებების სისწორის და
შედეგების გაზომვა 39
საჯარო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მაგალითი 45

7. პოლიტიკური ქუიზი 50

8. თავისუფლებების გაზომვა. 53

9. ყველაზე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებისა და
მოაზროვნეების სია 54
ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები 54
ცნობილი პოლიტიკური მოაზროვნეები 59

10. პოლიტიკური გლოსარიუმი 63

1. ისტორია და დღევანდელობა

პოლიტიკური პარტიების წარმოშობა, საქმიანობა და ფინანსური უზრუნველყოფა

პოლიტიკური პარტიები, ზოგან ფრაქციები, წარმოიშვა მას შემდეგ რაც პოლიტიკა გაჩნდა. ჩვენამდე მოტანილი ისტორიული ფაქტებით, პოლიტიკა და პოლიტიკური ორგანიზაციები და დაწესებულებები ძველ საბერძნეთსა და რომში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

პოლიტიკა არსებობს სახელმწიფოს მართვის ორგანიზებისათვის, სახელმწიფო გადაწყვეტილებების მისაღებად. პოლიტიკაში მონაწილე ადამიანები სახელმწიფოს შიგნით არსებულ მექანიზმებს იყენებენ გადაწყვეტილებების მოსამზადებლად და განსახორციელებლად.

პოლიტიკა მოქმედებს სახელმწიფო სისტემის ფარგლებში დაწესებული წესების და კანონების მიხედვით. პოლიტიკას ახორციელებენ ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობაში. ისინი ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოსამზადებლად და განსახორციელებლად.

ასეთ ადამიანებს პოლიტიკოსებს ეძახიან და მათ ჯგუფებს — პოლიტიკურ პარტიებს. პოლიტიკური პარტიების იმ ჯგუფებს, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოებში — პარლამენტში ან საკრებულოში — საქმიანობენ, ფრაქციებს ეძახიან.

პოლიტიკურ პარტიებს გააჩნიათ საკუთარი პრინციპები, რომლებიც წარმოადგენენ მათი საერთო საქმიანობის საფუძველს. პარტიები ამ პრინციპების მიხედვით ცდილობენ საკუთარი გადაწყვეტილებების დასაბუთებას. შესაბამისად, ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტენ სახელმწიფო პოლიტიკაში პირდაპირ აქტიურ მონაწილეობას, ასეთ პრინციპებზე შეთანხმდებიან და დაიწყებენ საქმიანობას, როგორც პოლიტიკური პარტია.

პოლიტიკური პარტია საქმიანობის ორგანიზებული განხორციელების მიზნით ადგენს საქმიანობის წესდებას, რომლის მიხედვითაც ირჩევს პარტიის ლიდერებს და გადასცემს მათ პარტიის სხვა წევრების წარმომადგენლობის უფლებას. წესდება განსაზღვრავს რა წესით აირჩევიან

პარტიის ლიდერები — ეს შეიძლება მოხდეს პარტიის წევრთა საერთო შეკრებაზე ღია ან ფარული წესით.

პოლიტიკური პარტიები საქმიანობას ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით ახორციელებენ. ადგილობრივი ორგანიზაციები არსებობს ქალაქებში, სოფლის მუნიციპალიტეტებში; მათი წევრების ძირითადი მიზანია ადგილობრივ პოლიტიკაზე ზემოქმედება, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა, მოსახლეობასთან თანამშრომლობა.

პოლიტიკური პარტიების სამოქმედო სახეები

პოლიტიკური პარტია შეიძლება იყოს იდეების და იდეოლოგიის გარშემო და/ან პოლიტიკური ლიდერის გარშემო შექმნილი ჯგუფი. პარტიებს, როგორც წესი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალა-უფლების მიღების სურვილი აერთიანებთ და ამოძრავებთ, რათა შემ-დგომში საკუთარი პოლიტიკური იდეები განახორციელონ.

პოლიტიკური პარტიები ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში პარტიის წევრობის მოდელით განსხვავდებიან. ევროპის ქვეყნებში პოლიტიკური პარტიების წევრები, ძირითადად, პარტიულ ორგანიზაციებში საქმიანობენ, ხოლო აშშ-ში პარტიის წევრებად (ან მონაწილეებად) ითვლებიან მისი მხარდამჭერი ამომრჩევლებიც.

მნიშვნელოვანია ასევე პარტიების საქმიანობის ფინანსური უზრუნველ-ყოფის განსხვავებები, რაც გავლენას ახდენს პარტიების საქმიანობასა და მხარდამჭერთა მონაწილეობაზე. პარტიების ფინანსები დიდ როლს თამაშობს მათი შესაძლებლობების და საქმიანობის ხარისხის თვალსაზრი-სით. ფინანსების წყარო შეიძლება იყოს სახელმწიფო და ასევე კერძოც.

საქართველოში პარტიების დაფინანსება ხდება გარკვეული პირობებით. სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ მხოლოდ ის პარტიები, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 1 პროცენტს მაინც მიიღებენ. პარტიებს აკრძალული აქვთ მიიღონ დონაციები უცხოეთიდან. პარტიის დაფინანსების წლიური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ქვეყნის წინა წლის მშპ-ს 0.04%, ხოლო ერთ კერძო პირს შეუძლია წელიწადში მხოლოდ 60,000 ლარი შესწიროს. პარტიების და არჩევნების დაფინანსების ზუსტ წესებს საარჩევნო და პოლიტიკური პარტიების

კანონმდებლობა განსაზღვრავს.

სახელმწიფო დაფინანსება ხშირად განპირობებულია არჩევნებში და სხვა პოლიტიკურ მოქმედებაში ჩართული ჯგუფების შესაძლებლობების მინიმალურ დონეზე უზრუნველყოფის, ასევე, მინიმალურად გათანაბრებისათვის.

პარტიების დაფინანსება აუცილებლად ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს, რათა ამომრჩეველმა იცოდეს რა ინტერესები შეიძლება იდგეს ასეთი დაფინანსების უკან. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში აკრძალულია ნებისმიერი დაფინანსების მიღება სხვა ქვეყნიდან. თანაბრობის მისაღწევად, ხშირად განსაზღვრულია მაქსიმალური დაფინანსების ოდენობა (ზედა ჭერი) პოლიტიკური პარტიისათვის ან მათი კანდიდატებისთვის.

არჩევნების დროს პარტიებმა შეიძლება მიიღონ მცირე დაფინანსება სახელმწიფოსაგან და დონაციები კერძო პირებისაგან, როგორც ნაღდი ფულით, ისე გადარიცხვითაც. ასეთი დონაციები შესაძლებელია არაფულად საშუალებებშიც იქნას გაკეთებული — მნიშვნელოვანია ნებისმიერი დონაციის აღრიცხვა და გამოქვეყნება.

პოლიტიკური პარტიები ხშირად იღებენ კერძო დონაციებს, რასაც ასევე სჭირდება სპეციალური ზედამხედველობა, მონიტორინგი — რათა ასეთი დონაციები არ ხდებოდეს მიმდინარე ან მომავალი სახელმწიფო გრანტების, დახმარების ან შესყიდვების (როდესაც სახელმწიფო ყიდულობს საქონელს ან მომსახურებას კერძო პირების ან ფირმებისაგან) და პროექტების მისაღებად მხარდაჭერის სანაცვლოდ.

პარტიების დაფინანსება ხშირად მიბმულია მათ წარმატებაზე არჩევნებში. მაგალითად, რაც უფრო მეტი კანდიდატი მიიღებს პარლამენტის წევრის სტატუსს, მით მეტი დაფინანსება ექნება პარტიას სახელმწიფო ბიუჯეტიდან წევრების რაოდენობის ჯერადად.

პარტიების ხარჯები ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას პარტიების საქმიანობაზე; მაგალითად, შესაძლებელია პარტიის ოფიციალური დაფინანსება არ ასახავდეს პარტიის რეალური ხარჯების სრულ სიას, რადგან ზოგი დონაცია არაოფიციალურად, ფიზიკური საქონლით ან მომსახურების სახით შეიძლება ხდებოდეს. შესაბამისად, ასეთი ხარჯები ან არ უნდა არსებობდეს, ან უნდა აისახოს პარტიისადმი გაწეული დონაციის ანგარიშებში.

ზოგიერთ ქვეყანაში კანონი ადგენს დონაციების ზომებს, როგორც ერთი პირისგან ასევე მთლიანად, საანგარიშო პერიოდში. კანონმა ასევე შეიძლება დაადგინოს პოლიტიკური პარტიის, ან კანდიდატის, ხარჯების შეზღუდვაც. პარტიების დაფინანსების წესები და შეზღუდვები შეიძლება დადგინდეს პარტიის ზოგად საქმიანობაზე და/ან საარჩევნო კამპანიაზე.

პარტიების ანგარიშები ისეთივე საჯარო ინტერესის სფეროს წარმოადგენს, როგორც საჯარო სამსახურების და საჯარო პირების დაფინანსების წყაროები და შესაბამისად, მათი ხარჯები და ანგარიშები ექვემდებარება სრულ საჯაროობას და გამჭვირვალობას.

ცნობილი პოლიტიკური ლიდერები

პოლიტიკური ლიდერების ისტორია შორი წარსულიდან იწყება. ბევრი ასეთი ლიდერი შეიძლება მოიძებნოს ძველ ეგვიპტეში, ძველ საბერძნეთში, ჩინეთში ან რომში, შუა საუკუნეების ევროპაში, — ისინი ძირითადად რელიგიური, არისტოკრატიული და საგანმანათლებლო წრეებიდან იყვნენ.

20-ე საუკუნეში პოლიტიკას უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა, რადგან მთავრობის საქმიანობა უფრო გაფართოვდა და საჭირო გახდა პოლიტიკური საკითხების, იდეების, იდეოლოგიების და გადაწყვეტილებების მეტი დისკუსია და განხილვა. ეს, ერთის მხრივ, ეხმარება ამომრჩეველს მონაწილეობაში: კარგად დაინახოს პოლიტიკის განხორციელების მომავალი შედეგები და მიიღოს უკეთესი გადაწყვეტილებები; მეორეს მხრივ, მას მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებს, მით უმეტეს, რომ ერთი ამომრჩევლის ძალაუფლება საკმაოდ პატარაა.

ცნობილი პოლიტიკური მოაზროვნეების ლიდერების მოკლე სია, რომელთაც გავლენა მოახდინეს გლობალურ და ადგილობრივ პოლიტიკაზე შეგიძლიათ იხილოთ მე-9 თავში.

2. პოლიტიკური პოლუსები

მსოფლიოში გავრცელებულია ძირითადად 4 მიმართულების პოლიტიკური იდეოლოგია:

მემარცხენე

სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, შრომის (ლეიბორისტული) პარტიები.

ასეთი პარტიები უფრო მეტად ადამიანის პიროვნულ უფლებებზე ფოკუსირდებიან, მათ განვითარებაზე, სოლიდარობაზე და მათ სახელმწიფო დახმარებაზე.

მემარჯვენე

კონსერვატიული, ტრადიციონალისტი, რესპუბლიკური, ქრისტიან-დემოკრატიული, ქრისტიან-სოციალური.

ასეთი პარტიების მთავარი საზრუნავია ტრადიციების შენარჩუნება და ადამიანის ეკონომიკური უფლებების მხარდაჭერა, ქვეყნის უსაფრთხოება და ბიზნესის განვითარებაზე ზრუნვა.

ლიბერალური

ლიბერალურ-დემოკრატიული, თავისუფალი დემოკრატების და ლიბერთარიანული პარტიები.

ასეთი პარტიები და მათი ლიდერები მხარს უჭერენ ადამიანის ყველა პიროვნულ და ეკონომიკურ თავისუფლებებს. ლიბერთარიანელები მომხრე არიან მცირე მთავრობის და ადამიანის ცხოვრებაში ჩაურევლობის, რასაც ლიბერალები შეზღუდულად, მაგრამ ასევე უჭერენ მხარს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ლიბერალებს დემოკრატიული პარტიის მომხრეებს ეძახიან და მათ ყავთ ასევე მემარცხენე რადიკალური დაჯგუფებებიც თავიანთ რიგებში.

ეტატისტური (ტოტალიტარული) პარტიები

კომუნისტური (ულტრა-მემარცხენეები), ნაცისტური, ფაშისტური (ულტრა-მემარჯვენეები).

ასეთი პარტიები უზომოდ დიდ როლს ანიჭებენ სახელმწიფოს, რათა მან უზრუნველყოს მორალური წესრიგი, განსაზღვროს ადამიანთა

ცხოვრების, ქცევის, სწავლის, საქმიანობის საზღვრები და წესები და ტოტალურად გააკონტროლოს პიროვნება.

მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელი პოლიტიკური პარტიები ხშირად შეინიშნებიან სხვა იდეოლოგიების ხედვების მეტი პატივისცემით, ნაკლები რადიკალურობით და შესაბამისად, ხშირად, საკუთარ თავს ცენტრისტებსაც ეძახიან. მათ საქმიანობასა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე დიდ გავლენას ახდენს სოციალური (ე.წ. კეთილდღეობის) პოლიტიკა და პროგრამები, რაც სახელმწიფო რესურსების გადანაწილებას გულისხმობს; ასევე, დიდი გავლენის მქონეა გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც ევროპაში, როგორც წესი, ძირითადად მწვანეთა პარტიების ძირითად იდეოლოგიას წარმოადგენს; თუმცა ეს საკითხი აქტუალური გახდა პრაქტიკულად ყველა მემარცხენე პოლიტიკური პარტიის საქმიანობისათვის.

პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიების ძირითადი საკითხები ეკონომიკურ სფეროს განეკუთვნება, კონკრეტულად სახელმწიფოს ჩარევის და ეკონომიკაში მონაწილეობის მიხედვით. არატოტალიტარული პარტიები, ძირითადად, ერთნაირად პოზიტიურად არიან განწყობილი ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათი ქვეყნების კონსტიტუციებში და საერთაშორისო დოკუმენტებშია ასახული. მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის არსებული განსხვავებები პიროვნულ თავისუფლებებთან დაკავშირებით სულ უფრო ნაკლებ საკითხში აისახება, როგორიცაა, მაგალითად, აბორტის თავისუფლება ან ერთნაირსქესიანთა ქორწინების უფლება. ლიბერალური პარტიები ადამიანის სრულ თავისუფლებას ქადაგებენ, მათ შორის პიროვნული და ეკონომიკური მიმართულებებით. კონსერვატიული პარტიები მომხრე არიან უფრო მეტი ეკონომიკური თავისუფლების ვიდრე მემარცხენეები, თუმცა ზოგ შემთხვევაში აქვთ სურვილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაეხმარონ ბიზნესს, შეუქმნან პრივილეგიები, და ასევე, ზოგ შემთხვევაში მხარს უჭერენ ქვეყანაში მეტი მორალური წესრიგის არსებობას.

ტოტალიტარული პარტიები ადამიანების სრული კონტროლის და სახელმწიფოს შეუზღუდავი როლის მომხრე არიან. შესაძლებელია

არსებობდეს განსხვავებული მოსაზრებები და განსხვავებული მიდგომები, სახელმწიფოს დომინირების განსხვავებული დოზები, მათ შორის სფეროების მიხედვით.

პოლიტიკური პარტიები ასევე შეიძლება განსხვავდებოდნენ მათი საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისითაც. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ხშირად მის გეოპოლიტიკურ პოზიციაზეა დამოკიდებული. მცირე და მცირე–ეკონომიკის მქონე ქვეყნები გაცილებით უფრო ფრთხილად იქცევიან, ვიდრე დიდი ქვეყნები, და მით უმეტეს, ვიდრე მძლავრი სამხედრო ქვეყნები. ასევე, მნიშვნელოვანია ქვეყნის მდებარეობა და მეზობლების და უფრო შორეული პარტნიორებისა და მოწინააღმდეგეების გათვალისწინება.

შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური პარტიების საგარეო პოლიტიკის განსხვავებები ხშირად დიდი არ არის და ერთმანეთისგან მხოლოდ მცირე დეტალებით განსხვავდება. მიუხედავად ამისა, ქვეყნები, რომლებიც დიდ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს განიცდიან, შესაძლებელია, ასევე, შეეჯახონ პოლიტიკური პარტიების უფრო რადიკალურ განსხვავებებსაც საგარეო პოლიტიკის სფეროში.

3. პოლიტიკური იდეოლოგიები და პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საგარეო პოლიტიკაში პოლიტიკური პარტიების განსხვავებები ხშირად მინიმალურია. ასეთივე მინიმალური შეიძლება იყოს განსხვავებები კონსტიტუციის ინტერპრეტაციის თვალ-საზრისით, როდესაც ეს ეხება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და სახელმწიფოს სისტემას. უფრო მეტი განსხვავება, როგორც წესი, ჩნდება ეკონომიკურ საკითხებზე, როგორც მაგალითად:

- სახელმწიფო ფინანსური რესურსების ხარჯვის მიმართულებები
- გადასახადები და რეგულაციები
- სახელმწიფო ვალის ზომა
- ეკონომიკის სფეროების მხარდაჭერის საკითხები
- მცირეშემოსავლიანი ადამიანების მხარდაჭერა
- სავაჭრო ბარიერები
- დასაქმება, უმუშევრობა

ასეთი საკითხები პოლიტიკური დღის წესრიგის მთავარი ნაწილია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მიუხედავად მათი განვითარების დონისა. თუმცაღა, ბოლო ხანებში პოლიტიკური პარტიების პოზიციები საკმაოდ დაახლოვდა და მათი ერთგულება პოლიტიკური იდეოლოგიებისადმი საკმაოდ შემცირდა. ამის მიუხედავად, არჩევნების დროს პარტიები მაინც ეცდებიან ამომრჩევლებს აჩვენონ მათი მიდგომების და დაპირებების განსხვავებები.

რას უჭერენ მხარს და რისი წინააღმდეგი არიან ცალკეული პოლიტიკური პარტიები

კონკრეტულად რა განსხვავებებია პოლიტიკური პარტიების მიდგომებს შორის გვიჩვენებს შემდეგი ცხრილები.

ცხრილი 1. ადამიანის თავისუფლებები და სახელმწიფოს როლი:

№	საკითხები	კონსერვატორები	სოციალისტები	ლიბერალები (ევრ)	ეტატისტები	ცენტრისტები	მწვანეები
1	კერძო საკუთრება	Y	M	Y	N	M	M
2	კერძო ჯანდაცვა	Y	N	Y	N	M	M
3	კერძო სკოლები	Y	M	Y	N	M	M
4	კერძო ნებაყოფლობითი პენსიები	M	M	Y	N	M	M
5	დაბალი გადასახადები	Y	N	M	N	N	N
6	სახელმწიფოს მცირე ხარჯები	M	N	M	N	N	N
7	ნაკლები ეკონომიკური რეგულაციები	M	N	M	N	N	N
8	კერძო ტყეები	M	N	Y	N	M	M
9	კერძო გზები	Y	N	Y	N	M	N
10	საბიუჯეტო დისციპლინა: ხარჯები=შემოსავლებს	M	N	Y	N	M	N
11	მცირე სახელმწიფო ვალი	M	N	Y	N	M	N
12	მსუბუქი ნარკოტიკების თავისუბლება	M	M	Y	N	M	M
13	შრომითი კონტრაქტის თავისუბლება	M	N	M	N	N	N
14	წამლის ფასის თავისუბლება	M	N	Y	N	M	N
15	ელექტროენერგიის ფასის თავისუბლება	M	N	M	N	M	N
16	ბიზნესის თავისუბლება	Y	M	Y	N	M	N
17	ფინანსების თავისუბლება	M	N	Y	N	M	M
18	უცხოური ვალუტის თავისუბლება	M	N	Y	N	M	M
19	ემიგრაციის თავისუბლება	N	M	Y	N	M	M
20	მშენებლობის თავისუბლება	M	N	Y	N	M	N

Y – ეთანხმება, M – შეიძლება, ან ნაწილობრივ, N – არ ეთანხმება

ცხრილი 2. სახელმწიფოს მონაწილეობა ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობაში:

№	საკითხები	კონსერვატორები	სოციალისტები	ლიბერალები (ევრ)	ეტატისტები	ცენტრისტები	მწვანეები
1	უმუშევართა დახმარება	M	Y	N	Y	M	Y
2	მიზნების დახმარება	M	Y	M	Y	Y	Y
3	სუბსიდიები აგრარულ მეწარმეებს	M	Y	M	Y	Y	Y
4	სუბსიდიები ინდუსტრიებს	M	Y	M	Y	M	Y
5	სუბსიდიები მცირე მეწარმეებს	Y	Y	M	Y	Y	Y
6	სუბსიდიები მეცნიერებს	M	Y	M	Y	Y	Y
7	დახმარება მრავალშვილიანებს	N	Y	M	Y	M	M
8	ენერგიის სუბსიდირება	N	Y	N	Y	M	M
9	ტრანსპორტის სუბსიდირება	N	Y	N	Y	M	Y
10	წყლის სუბსიდირება	N	Y	N	Y	M	M
11	სურსათის (მ.შ. ღვინის) ხარისხის	M	Y	M	Y	Y	Y
12	ჯანდაცვის ხარისხის კონტროლი	M	Y	M	Y	Y	Y
13	წამლის ხარისხის კონტროლი	M	Y	M	Y	Y	Y
14	მშენებლობის ხარისხის კონტროლი	M	Y	N	Y	M	Y
15	მინიმალური ხელფასი დაწესება	N	Y	N	Y	Y	Y
16	კულტურის სახელმწიფო მხარდაჭერა	N	M	N	Y	M	M
17	სპორტის სახელმწიფო მხარდაჭერა	N	M	N	Y	M	Y
18	სახელმწიფო ინვესტიციები	M	Y	N	Y	M	N
19	სახელმწიფო საწარმოები	N	Y	N	Y	M	Y
20	განათლების ხარისხი კონტროლი	M	Y	N	Y	M	M

Y – ეთანხმება, M – შეიძლება, ან ნაწილობრივ, N – არ ეთანხმება

ცხრილებში აღწერილი საკითხები წარმოადგენს პოლიტიკური პარ-ტიების ძირითად პოზიციებს, თუმცა არსებობს განსხვავებები მაგალითად ბრიტანელ, ამერიკელ და ევროპელ კონსერვატორებს შორის; თვით პარტიის შიგნითაც, ცხადია, არსებობს განსხვავებული პოზიციები. მაგა-ლითად, ამერიკელი რესპუბლიკელები, შესაძლებელია, ადვილად შეთან-ხმდნენ მთავრობის ხარჯების კონტროლის აუცილებლობაზე, მაგრამ ჰქონდეთ განსხვავებული პოზიციები ემიგრანტების საკითხებზე.

ამ ცხრილებში არ არის შეტანილი ისეთი სენსიტიური საკითხები როგო-რიცაა ერთნაირსქესიანთა ქორწინება, ან აბორტის ნებადართულობა, ან იარაღის ტარების თავისუფლება. ამერიკელი კონსერვატორები, რო-გორც წესი, პირადი ცხოვრების თავისუფლებების საკითხებში უფრო ტრადიციულ მიდგომებს ეყრდნობიან, რაც ხშირად პოპულისტურად გა-მოიყურება. თუმცა, მაგალითად, იარაღის ტარების საკითხში ეყრდნობიან კონსტიტუციურ მოთხოვნებს. კონსერვატორები და კლასიკური (ევრო-პელი) ლიბერალები ტენდენციას იჩენენ, რომ ბაზარს და კონკურენციას უფრო ადვილად შეუძლიათ ეკონომიკური მოთხოვნების და გამოწვევების პასუხი, ვიდრე მთავრობას. პრობლემების მოგვარების მცდელობით მთავრობა თვითონ ქმნის ახალ, ხშირად უფრო რთულ, პრობლემებს.

მემარცხენეები, თავის მხრივ, ფიქრობენ, რომ ადამიანის უფლებები უფრო ღრმად განვითარდა დაქირავებულთა, მომხმარებელთა, ქალების, ბავშვების, სხვადასხვა ეთნიკური თუ სხვა უმცირესობების მხარდასაჭერად. გარდა ამისა, ისინი ასევე მიიჩნევენ, რომ ბაზარზე მომხდარი ე.წ. ჩავარდნების და კრიზისების დასაძლევად სახელმწიფომ უნდა გაატაროს სპეციალური პოლიტიკა, ჩაერიოს და დაარეგულიროს. მაგალითად, მემარცხენეების აზრით, მაღალი გადასახადები საჭიროა, რათა მცირე-შემოსავლიან ოჯახებს დაეხმარონ, მცირე ბიზნესები გადაარჩინონ, აგრარული ბიზნესები კონკურენტული იყვნენ საერთაშორისო ბაზრებზე.

კლასიკური ლიბერალები (როგორც წესი) და ლიბერთარიანელები ყველას მოუწოდებენ ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობაში სახელ-მწიფოს (მთავრობის) ჩარევა მკაცრად შეზღუდონ და ბაზარს მიანდონ ეკონომიკური წარმატება, დასაქმება, ხარისხი და ფასები. ისინი ასევე ფიქრობენ, რომ სახელმწიფოს არ შეიძლება მორალის მოდარაჯის როლი ჰქონდეს.